

სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა

გზამკვლევი

სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სარჩევი

პროგრამის აღწერა	3
სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის პირობები	5
სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის პროცედურები	5
ტერმინთა განმარტება	6



1. პროგრამის აღწერა

სტუდენტთა სარეიტინგო სისტემა (შემდგომში „სარეიტინგო სისტემა“) არის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც გულისხმობს სტუდენტების რეიტინგის შედგენას კლასგარეშე აქტივობების მიხედვით როგორც უნივერსიტეტში, ისე მის ფარგლებს გარეთ.

სარეიტინგო სისტემის ძირითადი მიზანია სტუდენტთა რეიტინგის განსაზღვრა წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებისა და მათთვის მინიჭებული კონკრეტული ქულების საშუალებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ დაჯამებულ ქულათა მაქსიმუმი წინასწარ არ არის განსაზღვრული, რეიტინგის ყველაზე მაღალი ქულა სკალირდება და გაუტოლდება 100% (მაგ: თუ რეიტინგის სათავეში მყოფი სტუდენტი დააგროვებს პირობითად 150 სარეიტინგო ქულას, სკალირების შედეგად ის გაუტოლდება 100%. ხოლო სხვა სტუდენტების ქულები გამოითვლება მასთან შეფარდებით).

1.1. პროექტის ვადები:

სარეიტინგო სისტემაში მოსახვედრად სტუდენტი განაცხადს აკეთებს ნებისმიერ დორს სემესტრის განმავლობაში. 15 აკადემიური კვირის მანძილზე სტუდენტს ეტაპობრივად შემოაქვს მოთხოვნილი დოკუმენტაცია, რის საფუძველზეც გროვდება მისი სარეიტინგო ქულა. აუცილებელია, რომ დოკუმენტაციის თარიღები ემთხვეოდეს მიმდინარე სემესტრს.

სტუდენტთა რეიტინგი გამოქვეყნდება ფინალური გამოცდების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში. სარეიტინგო ქულების საფუძველზე სტუდენტები მომდევნო სემესტრის (6 თვის) წახალისდებიან და ისარგებლებენ სხვადასხვა უპირატესობით.

1.2. სარეიტინგო ქულების დაგროვების პრინციპი:

სტუდენტი ქულებს აგროვებს განაცხადის გაკეთების დღიდან მიმდინარე სემესტრის დასრულებამდე. სტუდენტის საბოლოო ქულა შედგება **ორი ნაწილისგან: აკადემიური მოსწრების წილი (GPA) 40%-ია, ხოლო სკალირებული ქულის 60%.**

სკალირებული ქულის დანაგარიშება: სხვადასხვა კრიტერიუმის დაკმაყოფილების შედეგად სტუდენტი აგროვებს სარეიტინგო ქულებს, რომელთა მაქსიმუმი დამოკიდებულია მის მიერ სემესტრის განმავლობაში დაფიქსირებულ კლასგარეშე აქტიურობაზე. სემესტრის ბოლოს ხდება დაგროვებული ნედლი ქულების სკალირება და 100-ბალიან სისტემაში გადაყვანა. რეიტინგის საბოლოო ქულაში შედის აღნიშნული წესით დათვლილი ქულის 60%. (დანარჩენი 40% კი სტუდენტის აკადემიურ მოსწრებაზე (GPA) მოდის).

შენიშვნები ქულათა დაგროვების პროცედურებთან დაკავშირებით:

- სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დოკუმენტაცია (სერტიფიკატები, ცნობები და ა.შ.) მინიმუმ 5 სხვადასხვა კრიტერიუმის

დაკმაყოფილების დასტურად. წინააღმდეგ შემთხვევაში სტუდენტს სარეიტინგო ადგილი არ მიენიჭება;

- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მონაწილეობს სერტიფიცირებულ პროექტში მსმენელის სახით (არ გადაეცემა მონაწილეობის სერტიფიკატი), ის ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნულ პროექტზე დასწრების დადასტურება შემდეგი გზით: დაწეროს წინასწარი განცხადება პროექტის კოორდინატორთან ამგვარი პროექტისთვის მინიჭებული ქულის ჩათვლის შესახებ, შესაძლებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს პროექტის ორგანიზატორის მიერ სტუდენტის დასწრების დადასტურება - ცნობა, ელექტრონული წერილი, მსმენელის სერტიფიკატი და ა.შ., წარმოადგინოს ფოტო-მასალა, რომელიც ადასტურებს სტუდენტის ამა თუ იმ პროექტზე დასწრებას მსმენელის რანგში;¹
- იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მონაწილეობს არასერტიფიცირებულ პროექტში, ის ვალდებულია, წარმოადგინოს პროექტზე დასწრების ნებისმიერი დამადასტურებელი დოკუმენტი.²

1.3. სარეიტინგო სისტემის შედეგად გაცემული წახალისება:

- სარეიტინგო ადგილების გათვალისწინებით ფაკულტეტი აწესებს სხვადასხვა საჩუქარსა და წამახალისებელ აქტივობებს:
 - რეიტინგის სათავეში - **პირველ ადგილზე** - მყოფი სტუდენტი მომდევნო სემესტრის (6 თვის) განმავლობაში ყოველთვიურად მიიღებს 100-ლარიან სტიპენდიას;
 - რეიტინგის **მეორე და მესამე ადგილზე** გასული სტუდენტები მიიღებენ სემესტრის განმავლობაში მიმდინარე სწავლის გადასახადზე დამატებით 10%-იან ფასდაკლებას; იმ შემთხვევაში, თუ მეორე ან მესამე ადგილზე გასულ სტუდენტს სრულად აქვს დაფინანსებული სწავლის გადასახადი (არ იხდის სწავლის საფასურს), სწავლის გადასახადზე ფასდაკლების ნაცვლად ექნება იბსუს ტრენინგ ცენტრში მისთვის სასურველი კურსის უფასოდ გავლის შესაძლებლობა;
 - რეიტინგის **მეოთხე და მეხუთე ადგილზე** გასული სტუდენტები შეძლებენ იბსუს ტრენინგ ცენტრში მათთვის სასურველი ერთი კურსის უფასოდ გავლას;
 - რეიტინგში **მეექვსე - მეთათე ადგილზე** გასული სტუდენტები მიიღებენ წიგნების მაღაზიის 50-ლარიან სასაჩუქრე ბარათებს.
- რეიტინგის სათავეში მყოფ სტუდენტებს მიენიჭებათა უპირატესობა შემდეგ შემთხვევებში:
 - სტაჟირებებისა და დასაქმების პროგრამებში მონაწილეობა;

¹ ამ და მსგავს შემთხვევებში პროექტის კოორდინატორი ფაკულტეტის საბჭოთან ერთად იტოვებს უფლებას, მიიღოს ინდივიდუალური გადაწყვეტილება კონკრეტული შემთხვევის დამოუკიდებლად განხილვის საფუძველზე;

² იგივე.

- გაცვლით პროგრამებში მონაწილეობა;
- კონფერენციებში, მოდელირებებზე, ბანაკებსა და სხვა პროექტებში მონაწილეობა უნივერსიტეტის მატერიალური მხარდაჭერით;
- სხვადასხვა საორგანიზაციო ჯგუფში მონაწილეობა;
- სხვა ad hoc შემთხვევებში.

2. სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის პირობები

სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის მისაღებად სტუდენტი:

- უნდა ირიცხებოდეს სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (კურსის, სექტორის, პროგრამის განურჩევლად);
- ჰქონდეს მაღალი აკადემიურ მოსწრება, არანაკლებ 75 ქულისა;
- წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ თარიღებს. *გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ თუ სტუდენტი საბუთებს არ წარმოადგენთ წინასწარ განსაზღვრულ ვადებში, მას კონკრეტულ კრიტერიუმში ქულა არ მიენიჭება. აუცილებელია, რომ ღონისძიებების გამართვის თარიღი ემთხვეოდეს მიმდინარე სემესტრს.*

3. სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის პროცედურები

იმისათვის, რომ სტუდენტი ჩაერთოს სტიპენდიის კონკურსში, მან უნდა გაიაროს შემდეგი პროცედურა:

- სემესტრის განმავლობაში ის წერს განცხადებას სტუდენტთა სარეიტინგო სისტემაში მონაწილეობის შესახებ (იხ. „განცხადების ფორმა“) და გზავნის ელ-ფოსტაზე: nsamkharadze@ibsu.edu.ge;
- სემესტრის განმავლობაში სტუდენტი ეტაპობრივად წარმოადგენს ქულების დასაგროვებლად საჭირო დოკუმენტაციას. ყოველი ახალი დოკუმენტის საფუძველზე მას ემატება შესაბამისი ქულა;
- სემესტრის ბოლოს სტუდენტების მონაცემებს განიხილავს და საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს ფაკულტეტის საბჭო;

- ფინალური გამოცდების დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში რეიტინგი გასაჯაროვდება, ხოლო შესაბამის სტუდენტებს ეცნობებათ წამახალისებელი ღონისძიებების შესახებ;
- წამახალისებელი ღონისძიებები მოქმედებს მომდევნო სემესტრის განმავლობაში.

4. ტერმინთა განმარტება

- აკადემიური მოსწრება - სტუდენტის მიერ მიმდინარე სემესტრის ჩათვლით მიღებული საშუალო ქულა (GPA), არანაკლებ 75-ისა, რომელიც სარეიტინგო სისტემის 40% შეადგენს;
- კლასგარეშე აქტივობები - უნივერსიტეტის და სხვადასხვა ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებში მონაწილეობა:
 - საჯარო ლექციები - დაითვლება საჯარო ლექციებისთვის განკუთვნილი სპეციალური ფორმის მიხედვით, რომელშიც დაფიქსირებულია სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ორგანიზებით ან თანაორგანიზებით განხორციელებულ საჯარო ლექციებზე დასწრების დამადასტურებელი ხელმოწერა;
 - ფაკულტეტის ორგანიზებით და/ან თანაორგანიზებით განხორციელებული მოდელირებები/სიმულაციები, ტრენინგები, ვორკშოპები, შეჯიბრებები, მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები, კონფერენციები. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის მიხედვითაც დაითვლება სარეიტინგო ქულა;
 - საზღვარგარეთ ორგანიზებული მოდელირებები/სიმულაციები, ტრენინგები, ვორკშოპები, შეჯიბრებები, მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები, კონფერენციები. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის საფუძველზეც მას სარეიტინგო ქულა მიენიჭება;
 - ფაკულტეტს გარეთ (უნივერსიტეტში და უნივერსიტეტის გარეთ) განხორციელებული მოდელირებები/სიმულაციები, ტრენინგები, ვორკშოპები, შეჯიბრებები, მრგვალი მაგიდის ფორმატის დისკუსიები, კონფერენციები. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც მას სარეიტინგო ქულა მიენიჭება.

- **კლასგარეშე მოხალისეობრივი აქტივობები** - სტუდენტის მიერ შეტანილი წვლილი ფაკულტეტის და, შესაბამისად, უნივერსიტეტის ინსტიტუციურ განვითარებასა და კლასგარეშე აქტივობების განხორციელებაში; სტუდენტი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგი ქვე-კრიტერიუმებიდან ერთ-ერთს:
 - *ორგანიზაციული მხარდაჭერა* - სტუდენტთა ჩართულობა ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა მასშტაბის ღონისძიების დაგეგმვასა და განხორციელებაში. სტუდენტს ქულა მიენიჭება კონკრეტულ ღონისძიებაზე პასუხისმგებელი პირის რეკომენდაციის საფუძველზე;
 - *კლუბის პრეზიდენტის პოსტი* - უნივერსიტეტში მოქმედი კლუბების ეფექტური ხელმძღვანელობა, რომელიც დადასტურდება კლუბების ხელმძღვანელის რეკომენდაციით; კრიტერიუმის დასაკმაყოფილებლად აუცილებელი მოთხოვნაა პრეზიდენტის მიერ კლუბის ფარგლებში განხორციელებული მინიმუმ ორი ღონისძიება, რომელიც ფაკულტეტის საქმიანობის თემატიკას ეხმიანება;
 - *განხორციელებული ინიციატივები* - სტუდენტს, სტუდენტთა ჯგუფს ან ფაკულტეტის მიმართულებებზე მოქმედი კლუბების წარმომადგენლობებს შეუძლიათ ინიციატივით მიმართონ ფაკულტეტის საბჭოს. ამ უკანასკნელის რეკომენდაციის შემთხვევაში პროექტის ავტორებს დაევალებათ აღნიშნული ინიციატივის განხორციელება შესაბამის ვადებში. კანდიდატი უნდა იყოს პროექტის ავტორი ან თანაავტორი;
 - *არაპროფესიული მოხალისეობრივი მოღვაწეობა* - სტუდენტი, რომელიც არის მოხალისე არასამთავრობო ან სხვა ტიპის ორგანიზაციაში; ან ასრულებს ნებისმიერ (არაანაზღაურებად) სამუშაოს, რომელიც არ არის დაკავშირებული პროფესიულ განვითარებასთან, თუმცა დაფუძნებულია მოხალისეობრივ პრინციპებზე და ემსახურება სამოქალაქო აქტივიზმის განვითარებას. საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში სტუდენტს მიენიჭება სარეიტინგო ქულა³;
- **დამატებითი პროფესიული აქტივობები** - სტუდენტის პროფესიული მოღვაწეობა უნივერსიტეტს მიღმა, რომელიც შინაარსობრივად დაკავშირებულია იმ სპეციალობასთან, რომელსაც ის ეუფლება სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე; სტუდენტი, უნდა აკმაყოფილებდეს მინიმუმ ერთ ქვე-კრიტერიუმს:
 - *არაანაზღაურებადი აქტივობები* - კანდიდატი, რომელიც ეწევა სპეციალობასთან დაკავშირებულ არაანაზღაურებად საქმიანობას და წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას;
 - *სტატიები და პუბლიკაციები* - კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე სემესტრში კონფერენციაზე, ჟურნალში ან სხვა პროექტის ფარგლებში

³დოკუმენტაციის წარდგენის პირობები განისაზღვრება ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს სპეციფიკის გათვალისწინებით სტუდენტის მიერ ფაკულტეტის საბჭო სახელზე დაწერილი განცხადების საფუძველზე.

გამოქვეყნებულ სტატიას ან პუბლიკაციას, მიენიჭება შესაბამისი სარეიტინგო ქულა;

- *ფაკულტეტისგან დამოუკიდებლად განხორციელებული პრაქტიკა/სტაჟირება* - კანდიდატი, რომელიც გადის პრაქტიკას ან სტაჟირებას სპეციალობის განხრით სამთავრობო, არასამთავრობო, საერთაშორისო თუ კერძო დაწესებულებაში, წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას;
 - *დასაქმება* - კანდიდატი, რომელიც დასაქმებულია სპეციალობის განხრით წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას.
- **სხვა აქტივობები** - მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია მოხდეს იმ დოკუმენტების განხილვა, რომელიც არ შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კრიტერიუმს; სტუდენტის განცხადების საფუძველზე დამატებით აქტივობებში შესაძლოა მოიაზრებოდეს:
- ✓ *ენის სერტიფიკატი* - სტუდენტი წარადგენს ენის სერტიფიკატს (**TOEFL/IELTS; DELF** (diplôme d'études en langue française)/**DALF** diplôme approfondi de langue française; **TestDaF** (Test Deutsch als Fremdsprache) და ა.შ.)
 - ✓ *სხვა სერტიფიკატი* - დასაშვებია მხოლოდ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ფლობს დამატებით სერტიფიკატს, და/ან ასრულებს დამატებით რაიმე სახის სამუშაოს, რაც არ შეესაბამება ზემოთ ჩამოთვლილ არცერთ კრიტერიუმს. სტუდენტი მიმართავს ფაკულტეტის საბჭოს განცხადებით აღნიშნული აქტივობა „სხვა სერტიფიკატის“ კატეგორიაში განიხილოს.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი წარმოადგენს იმგვარ აქტივობაში მონაწილეობის სერტიფიკატს, რომელიც კრიტერიუმთა მიმდინარე ჩამონათვალში არ არის მითითებული, სტუდენტს შეუძლია მიმართოს განცხადებით ფაკულტეტის საბჭოს, რომლის შედეგად საბჭო წარმოადგენილ კრიტერიუმს მიანიჭებს სარეიტინგო ქულას.